პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 285 (11591) | სამშაბათი, 8 დეკემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ევროპის კომუნისტთა საბრძოლო მოწოდება

8 დეკემბრის „პრავდაში“ გამოქვეყნებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი — „ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების მიმართვა ყველა შრომელისადმი, ყველა დემოკრატისადმი“.

ეს საბრძოლო დოკუმენტი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია კომუნისტური პარტიის ზრუნვით იმისათვის, რომ მუშათა კლასი, შრომელები, მთელი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალები შეკავშირდნენ „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად, რომ ყოველი ღონისძიებით განავითარონ საერთაშორისო დაძაბულობის დაწყებული შენელება, განამტკიცონ მშვიდობა, წინააღმდეგობა გაუწიონ რეაქციისა და მონოპოლიების შეთქმეულს, დაიცვან და განავითარონ დემოკრატია, დაიცვან ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესები. მიმართვა გამოხატავს ევროპის სახელოვანი მუშათა კლასის მოწინავე შვილების მისწრაფებებსა და ფიქრებს, მუშათა კლასისა, რომელსაც აქვს ომის საფრთხის, ფაშიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის ბრძოლის მდიდარი ტრადიციები. იგი აუენებს ხალხთა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ბედნიერი მომავლისათვის საბრძოლველად ყველა მშრომელთა და დემოკრატთა მჭიდროდ შეკავშირების გაშლილ პროგრამას. ყოველივე ამით მიმართვას უდიდესი მიმზიდველი ძალა ენიჭება და დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი ხდება.

კაცობრიობის წინაშე ნათელი პერსპექტივები ისახება. საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლის მეოხებით, მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობის დაუცხრომელი ბრძოლის მეოხებით საერთაშორისო ჰავაში დაისახა დიდმნიშვნელოვანი ცვლილებანი: საავდრო ღრუბლებში მზის სხივები გამოჩნდა, „ცივი ომის“ ყინულებში ბზარები გაჩნდა.

საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა. და ხალხებს შეუძლიათ დაისახონ როგორც რეალური, მისაღწევი მიზანი — ომის მოსპობა სამუდამოდ. კონკრეტული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ამ აღმაფრთოვანებელი მიზნის მიღწევას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა მთავრობის სახელით შეიტანა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ეს პროგრამა ითვალისწინებს საყოველთაო და სრულ განიარაღებას. ის ფაქტი, რომ ეს წინადადებანი მომდინარეობენ საბჭოთა კავშირისაგან — მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოსაგან, განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებს სოციალიზმის კეთილშობილურ მისიას, რომელსაც ხალხებისათვის მშვიდობა და ბედნიერება მოაქვს.

სრული და საყოველთაო განიარაღების იდეამ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა, უდიდესი მხარდაჭერა ჰპოვა, იგი მშრომელთა, მთელი ხალხებისა და ერების დროშა გახდა. ხალხებს თავიანთი აქტიური, მტკიცე ბრძოლით უნარი შესწევთ რეალურ სინამდვილად აქციონ ეს იდეა. ომის ძალები ნებაყოფლობით არ დათმობენ თავიანთ პოზიციებს. მაგრამ შეიძლება ვთქვათ, ომიანობა უნდა ვიძულოთ ისინი ასე მოიქცნენ. ამისი გზაა ხალხთა აქტიური ბრძოლა.

როგორც მიმართვაში სამართლიანად არის აღნიშნული, ამ ისტორიულ უამს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასს, მშრომელებს, ხალხებს.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, მათ შორის ევროპის ქვეყნებში, ცოტა რიცხვი ისეთი ძალები, რომლებიც ყოველი საშუალებით ცდილობენ შეაჩერონ საერთაშორისო დაძაბულობის დაწყებული შენელება, შეინარჩუნონ და კიდევაც გააძლიერონ „ცივი ომი“, განამტკიცონ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი. ამ კაცთმოძულეობის პოლიტიკის წამომწყებნი არიან დასავლეთგერმანელი რევანშისტები კანცლერ ადენაუერის მეთაურობით.

ამიტომ მიმართვა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ლოდინი, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

ევროპის ხალხებმა კარგად იციან, თუ რა არის ომი, რა უბედურება და ნგრევა მოაქვს მას. მაგრამ მძიმე ომებმა ბევრი რამ ასწავლეს ევროპის ხალხებს. ამას ადასტურებს მათი აქტიური მონაწილეობა მშვიდობისათვის საერთაშორისო მოძრაობაში.

ამჟამად იმპერიალისტური რეაქცია იღებს ღონისძიებებს, რათა შეასუსტოს ხალხთა მოძრაობა მშვიდობისათვის. იმპერიალიზმს აგენტურა ისწრაფვის დანერგოს პესიმიზმის, მშვიდობისათვის ბრძოლის უპერსპექტივობის განწყობილება, პასიური გახადოს ხალხთა მასები.

ამ პირობებში მიმართვას განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

კომპარტიების წარმომადგენელთა რომის თათბირი ცხადყოფს, რომ დასავლეთ ევროპის მშრომელთა მოწინავე ნაწილს გარკვეული აქვს შეგნებული ამოცანები, რომლებიც ახლანდელ ვითარებაში დგას მსოფლიოს ამ ნაწილის მუშათა მოძრაობის, ყველა დემოკრატის წინაშე. შენელება გადავაქციოთ მუდმივ და მტკიცე მშვიდობად, წინააღმდეგობა გავუწიოთ მონოპოლიებისა და რეაქციის შემოტეკვას, ყველას, ვინც „ცივი ომის“ განგრძობასთვის მოქმედებს, ავამოძრაოთ მთელი ძალები ამ ისტორიული ამოცანების გადაჭრისათვის — ასეთია მთავარი იდეები, რომლებითაც გამსჭვალულია მიმართვა. ეს იდეები ევროპის მთელი მუშათა მოძრაობის, მთელი დემოკრატიული ძალების კუთვნილება უნდა გახდნენ.

კომუნისტები მოუწოდებენ მიღწეულ იქნას ისეთი მიზნები, როგორიც არის უმაღლეს დონეზე თათბირის მალე მოწვევა, გერმანიის პრობლემის გადაჭრა, უცხოეთის სამხედრო ბაზებისა და რაკეტების გასაშვები მოედნების ლიკვიდაცია, სამხედრო ვალდებულებათაგან თავისუფალი ზონების შექმნა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობა და მისთვის კანონიერი ადგილის მინიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებში. მიმართვა პირველმარსხოვან ამოცანად მოითხოვს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშრომელთა ღონისძიებების გაერთიანებას მსოფლიოს ყველა ხალხის ღონისძიებებთან, რათა განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება, მიღწეულ იქნას ატომური იარაღის აკრძალვა.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Коммунистическая партия Советского Союза

ПРАВДА

Орган Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза

7 დეკემბრის მოწინავე

მშვიდობისათვის ბრძოლა განუყრელად დაკავშირებულია დემოკრატიისათვის, მუშათა კლასის, ხალხის ფართო მასების საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლასთან. დადებითი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში ხელს უწყობენ ამ ამოცანების გადაჭრას.

მონოპოლიებურმა წრეებმა „ცივი ომი“, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში შოვინიზმი და კოლონიალიზმის სულისკვეთება გამოიყენეს მშრომელთა, დემოკრატთა უფლებების წინააღმდეგ შეტევისათვის. ესპანეთსა და პორტუგალიაში ფაშისტური დიქტატურები არსებობენ. დასავლეთ გერმანიაში აკრძალულია კომუნისტური პარტია და ყველა სხვა პროგრესული ორგანიზაცია, ეწყობა მშვიდობისათვის მებრძოლთა სამარცხვინო გასამართლება. საბერძნეთში რეაქციამ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლებს თავს დაატეხა გაცოფებული დევნა. მთელ რიგ სხვა ქვეყნებში გაჩაღებულია ლაშქრობა მშრომელების დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ, წარმოებს წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ლიკვიდაცია, ისპობა პარლამენტური დემოკრატია. გაალაშქრება დემოკრატიის წინააღმდეგ, როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, ომისაკენ მიმავალი გზაა.

კომპარტიები მოუწოდებენ მშრომელებს, დემოკრატებს მიაღწიონ დემოკრატიისათვის ბრძოლის ახალ, უფრო მძლავრ გაქანებას. „მშრომელთა ყოველ პოლიტიკურ თავისუფლებას, ყოველ უფლებას, — აღნიშნულია მიმართვაში, — თანმიმდევრულად უნდა ვიცავდეთ და ამავე დროს საჭიროა განუხრელად ვაძლიერებდეთ მოქმედებას დემოკრატიის განსაზღვრისათვის, მისი განმტკიცებისათვის, ყველა მისი მტრის წინააღმდეგ“.

მონოპოლიების ბატონობა იმას იწვევს, რომ ყველა მშრომელთა ექსპლოატაცია უფრო გაძლიერდა, ხოლო მოსახლეობის ფართო ფენების მატერიალური მდგომარეობა, მიუხედავად მუდმივად მზარდი მოთხოვნილებებისა, არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ ზოგ შემთხვევაში გაუარესდა.

მიმართვა მოუწოდებს მშრომელებს გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი თავიანთი საერთო მოთხოვნებისათვის, თავიანთი საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლაში. იგი მოუწოდებს ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ძალების გაერთიანებისაკენ თავიანთი მოთხოვნებისა და ინტერესების დასაცავად. ევროპის მუშათა კლასს მოქმედების ერთიანობის დიდი გამოცდილება აქვს. ეს გამოცდილება გვასწავლის, რომ, როცა მუშები და დემოკრატიული ძალები ერთად გამოდიოდნენ, ისინი იმარჯვებდნენ და აიძულებდნენ რეაქციას უკან დაეხია.

მუშათა კლასის ძალებისადმი, ხალხის მთელი დემოკრატიული ფენების ძალებისადმი, მათი გონიერებისა და შეგნებისადმი დიდი რწმენის გრძნობით დასავლეთევროპელი კომუნისტები აცხადებენ:

ახლა ყველაზე უფრო საჭიროა ხალხის მთელი ძალების გაერთიანება“.

კომუნისტებმა ერთიანობისაკენ მოუწოდეს ყველას, ვისაც სწამს პროგრესი და თავისუფლება, ყველა მშრომელს, როგორიც უნდა იყოს მათი პოლიტიკური რწმენა. ბუნებრივია, რომ მათი მოწოდება უწინარეს ყოვლისა ეხება სოციალისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, ამ პარტიების წევრებს, პროფკავშირებისა და კოოპერატივების წევრებს, რომლებთანაც კომუნისტებს არაერთგზის უწარმოებიათ ერთობლივი ბრძოლა, რომელსაც წარმატება მობყოლია.

მუშათა მოძრაობისა და დემოკრატიული ძალების წინაშე ცხოვრებამ დასახა ამოცანა: უზრუნველყონ მშვიდობა, გააუჯობესონ მშრომელთა მასების ცხოვრების პირობები, დაიცვან, შეინარჩუნონ და განავითარონ დემოკრატია, ერთად იარონ წინ, სოციალიზმისაკენ. ამ ამოცანების გადაჭრა შეეფარება როგორც კომუნისტების, ისე სოციალ-დემოკრატების, უპარტიო მუშების, მშრომელი კათოლიკეების და ყველა დემოკრატის ინტერესებს.

იმას, ვინც ნამდვილად იცავს მშვიდობის, დემოკრატიის ინტერესებს, მუშათა კლასის, ხალხის მასების საქმეს, არ შეუძლია ყური არ მიუგდოს მოქმედების ერთიანობის შესახებ კომუნისტთა სამართლიან, ფხიზელ ხმას.

ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა მოიგერიეს რეაქციისა და რევიზიონისტების იერიში, განამტკიცეს თავიანთი პოზიციები. ბუნუუზოული პრესაც კი იძულებულია აღიაროს, რომ საფრანგეთისა და იტალიის კომუნისტური პარტიები თავიანთი ქვეყნების პირველი პარტიები არიან, რომ კომუნისტებმა დასავლეთ ევროპაში ღრმად გაიდგა ფესვები და არ შეიძლება მისი ამოძირკვა.

კომუნისტური მოძრაობის მჭიდროდ შეკავშირებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი შეასრულეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირებმა, რომლებიც 1957 წელს გაიმართა და რომლებმაც მიიღეს დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი. ეს ისტორიული დოკუმენტები ყველა კომპარტიის მძლავრი იდეური იარაღია. ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების მიმართვა მოწოდებს კომუნისტების ერთგულებას შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, მათს მოსწრაფებას რაც შეიძლება უკეთ განახორციელონ დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის დიადი იდეები.

ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიას მშვიდობისათვის ბრძოლა თავის პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნია. იმ სოციალისტური ქვეყნების მთელი პოლიტიკა, სადაც ხელისუფლების სათავეში კომუნისტური პარტიები არიან, ემსახურება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის საქმის განმტკიცებას. ამ დიად მიზნებს ახმარენ მთავარ ღონისძიებებს კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიებიც. მშვიდობისმოსმრე მთელი ძალების დარაზმვა ერთ მთლიან ნაკადად უზრუნველყოფდა გადამწყვეტ წარმატებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, უზრუნველყოფდა ომის თავიდან აცილებასა და მტკიცე მშვიდობის დამყარებას. თანამედროვეობის ამ დიადი ამოცანის განხორციელება შეესაბამება როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. სწორედ ამიტომ მშვიდობისათვის უნდა იბრძოლოს ყველამ. ამ ბრძოლაში შესვენება არ შეიძლება მანამდე, სანამ მშვიდობის საქმე სამუდამოდ არ იქნება უზრუნველყოფილი.

კომუნისტური პარტიების საბრძოლო მოწოდება, რომელიც მშრომელთა მისწრაფებას გამოხატავს, ჩასწვდება მუშათა კლასის, დასავლეთ ევროპის ხალხთა მასების გულს, რადგან იგი შეეესაბამება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის დიად ინტერესებს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

გაზეთ „ნეპსაბადშაგის“ რედაქციისადმი

ბუდაპეშტი, 6 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „ნეპსაბადშაგმა“ დღეს გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი გაზეთის რედაქციისადმი.

წერილში ნათქვამია:

„უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე სკკპ დელეგაციის ყოფნის დროს დელეგაციის მისამართით მოვიდა სამრეწველო საწარმოთა, საწარმოო კოოპერატივთა, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციათა კოლექტივების, სტუდენტთა კოლექტივებისა და სასწავლებელთა. აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ცალკეულ მოქალაქეთა ბევრი მისასალმებელი წერილი. ამ წერილებში გამოთქმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხისადმი ძმური მეგობრობის გრძნობები, გამოთქმულია კეთილი სურვილები, რომ ახალი დიდი წარმატებანი მოვიპოვოთ კომუნიზმის მშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. ბევრ წერილში მოგვმართავენ გულითადი თხოვნით, რომ ვნახოთ საწარმოები, კოოპერატივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი, დავესწროთ კრებებსა და მიტინგებს, ვესტუმროთ მშრომელთა ოჯახებს.

რადგან შესაძლებლობა არა გვაქვს მივიღოთ ეს მიწვევანი და ვუპასუხოთ ყოველ წერილზე ცალკე, ნება გვიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, სკკპ დელეგაციისა და პირადად ჩემი სახელით თქვენი გაზეთის მეშვეობით გამოვთქვა ჩვენი დიდი გულწრფელი მადლობა ყველა ამ გულთბილი წერილისათვის, რომლებიც მკაფიოდ მოწმობენ უნგრელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ურღვევ მეგობრობასა და ძმურ კავშირს. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხთა სახიხარულოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ. სულით და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო უნგრელო მეგობრებო, წარმატებით შეგესრულებინოთ სოციალისტური მშენებლობის შესანიშნავი პროგრამა, რომელიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობამ დასახა, გისურვებთ ყველა თქვენგანს ყოველივე კარგს შრომასა და ცხოვრებაში.

დიდი პატივისცემით

ნ. ს. ხრუშჩოვი

1959 წლის 5 დეკემბერი“.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად გამოაცილეს ბუდაპეშტიდან

ბუდაპეშტი, 7 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. სემონოვი გადმოგვცემს: უნგრეთის დედაქალაქის მშრომელებმა დღეს გულთბილად გააცილეს სტუმარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე.

დასავლეთის ვაგზლის მოედანზე ბუდაპეშტში სპეციალური მატარებლის წასვლამდე კარგა ხნით ადრე შეიკრიბა ათასობით ადამიანი — დედაქალაქის საწარმოთა მშრომელების წარმომადგენლები, დაწესებულებათა მოსამსახურეები, მოსწავლეები და სტუდენტები. ვაგზალი მორთულია საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახელმწიფო ალმებით. დიდ პლაკატებზე არის წარწერები რუსულ და უნგრულ ენებზე: „ნახვამდის, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძე!“.

ვაგზალში მოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტიული მუშაკები და საწარმოთა ხელმძღვანელები.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოჩენა ვაგზლის მოედანზე იწვევს გამცილებელთა ტაშის გრიალს, ჰაერში ისვრიან ქუდებს, ათასობით ადამიანი აქნევს ხელს, გაისმის შეძახილები: „ელიენ!“, „გაუმარჯოს ამხანაგ ხრუშჩოვს!“, „ვაშა!“.

ნიკიტა სერგის ძეს ხელში უკავია ყვავილთა თაიგული, რომელიც პიონერებმა მიართვეს, და გულთბილად უპასუხებს მისალმებას, რომელიც ყოველი მხრიდან მოისმის.

სტუმრები და გამცილებლები ტრიბუნასთან მიდიან.

მიკროფონთან არის უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი დიერდ მაროშანი. იგი ნიკიტა სერგის ძეს მიმართავს მხურვალე მისალმების სიტყვებით. მოედანზე გრიალებს ტაში.

მიკროფონთან მიდის ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მოედანზე კვლავ გაისმის მქუხარე ტაში და მისასალმებელი შეძახილები: „ელიენ!“, „გაუმარჯოს ხრუშჩოვს!“, „გაუმარჯოს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“.

მადლობის გულთბილი სიტყვები სტუმართმოყვარეობისათვის და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში უნგრელი ხალხის შემდგომი წარმატების სურვილები იწვევენ გამცილებელთა საყოველთაო მოწონებას და ტაშის ახალ გრიალსა და მისასალმებელ შეძახილებს.

სტუმრები და გამცილებლები მატარებლისაკენ მიდიან. აქ ნიკიტა სერგის ძე გულითადად ეთხოვება ფერენც მიუნიხს, იშტვან დობის, დიერდ მაროშანსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებს, თავაზიანად უქნევს ხელს დანარჩენ გამცილებლებს და შემდეგ ვაგონში შედის.

მატარებელი დაიძრა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად გამოემგზავრნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ბელა ბისკუ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შანდორ გაშპარი.

ვიყოთ პარტიის ერთგული, აქტიური თანაშემწენი

ჟურნალისტთა და მუშსოფლკორთა რესპუბლიკური აქტივის კრება

საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა მრავალთასიანი არმიის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მოსკოვში გაიმართა საბჭოთა ჟურნალისტების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელმაც დაამოთვრა მუშაობა ახალი შემოქმედებითი ორგანიზაციის — სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის შესაქმნელად. კალმის საბჭოთა მუშაკების წარმომადგენელთა კრებამ ცხადყო, თუ რამდენად მაღლაა აყვანილი ჩვენს ქვეყანაში ჟურნალისტის საპატიო წოდება, რამდენად დიდია კომუნისტური პარტიის ზრუნვა საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აღმაშენის — ყველაზე მაღალი ზნეობრივი იდეალების მატარებლის აღზრდისათვის.

საბჭოთა ჟურნალისტების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგებს მიეძღვნა ჟურნალისტთა და მუშსოფლკორთა რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელიც 7 დეკემბერს გაიმართა თბილისში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, გამომცემლობების მუშაკები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები. ესწრება მრავალი სტუმარი — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ვ. პ. მეავანაძე, გ. დ. ჯაველიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ხ. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, გ. ა. გეგეშიძე, ე. ა. შევარდნაძე**, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები.

მოხსენება „ჟურნალისტთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგები და საქართველოს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ამოცანები“ გააკეთა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ჩხიკვიშვილმა.**

საბჭოთა ჟურნალისტების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, თქვა მომხსენებელმა, დიდი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყრილობამ ჩაიარა საბჭოთა პრესის პარტიულობისა და მასობრიობის ლენინური ტრადიციების შემდგომი განვითარების ნიშნით, ცხადყო საბჭოთა ჟურნალისტების მხურვალე მისწრაფება პირნათლად შეასრულონ მშობლიური კომუნისტური პარტიის დავალებანი, მთელი ძალღონე მოახმარონ კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეს. ყრილობაზე დიდი საქმიანი საუბარი იყო პრესის ამოცანების შესახებ შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან დაკავშირებით, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში პრესის როლის შესახებ. ყურადღების ცენტრში იდგა ჟურნალისტთა ოსტატობის ამაღლების საკითხები. აღინიშნა, რომ ჟურნალისტებს უნდა შეეძლოთ მკაფიოდ ხედავდნენ და მოფიქრებით ეპყრობოდნენ ყველაფერს, რომ ჟურნალისტიკა მოწოდებაა, შემოქმედებითი პროფესიაა, რომელიც „მოითხოვს ლიტერატურულ ნიჭს, ბეჯით მუშაობას თემაზე, სიტყვაზე, ცხოვრების, პრაქტიკის, ადამიანების ღრმა და ყოველდღიურ შესწავლას, განუწყვეტელ მარქსისტულ-ლენინურ სწავლას.

ამხ. ჩხიკვიშვილი დაწვრილებით შეეხო რესპუბლიკის პრესის ორგანოების მუშაობას. განაგრძობს რა სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს, საქართველოს პრესას თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს საბჭოთა ჟურნალისტიკაში. იგი ლენინური პარტიის ერთგული თანაშემწეა მის დიად მაორგანიზებელად და შთამაგონებელ საქმიანობაში. პრესას მუშაკები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში კომუნიზმისათვის. ამ უკანასკნელ წლებში ბევრი ჩვენი გაზეთი გამოდის შესანიშნავი პატრიოტული საქმეების წამომწყებად, იჩენს მეტ ინიციატივასა და კარგ გამომგონებლობას.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ჟურნალისტის ავტორიტეტზე. საბჭოთა ადამიანები დიდ პატივს სცემენ და აფასებენ საბჭოთა ჟურნალისტებს, მათს შრომას. სადაც უნდა წავიდეს, ვისაც უნდა მიმართოს გაზეთის, ჟურნალის, რადიოს თანამშრომელმა, მას ყველგან კეთილმოსურნედ ხვდებიან, პატივს სცემენ, მაგრამ ჯერ კიდევ არიან პრესის ისეთი მუშაკები, რომლებიც ზოგჯერ ივიწყებენ იმ მაღალ წოდებას, რაც მათ ბევრ რამეს აკარებს, ივიწყებენ დიდ პასუხისმგებლობას, რაც მათ აკისრიათ.

საბჭოთა პრესის ძალაა მჭიდრო კავშირი მასებთან. მხოლოდ ფართო საზოგადოებრივობაზე, ავტორთა მრავალათასიან აქტივზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს საინტერესო გაზეთი. ყრილობამ ჟურნალისტთა კავშირის ერთიერთ ძირითად ამოცანად დაუსახა განვითაროს მუშსოფლკორთა მოძრაობა, დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა სწავლების მოწყობაში.

აღნიშნა რა ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მუშაობაშია, მომხსენებელმა მოუწოდა ჟურნალისტებს ომუშაონ მგზნებარედ, წერონ მიმზიდველად, სხარტად. ომი უნდა გამოეცადოს საგაზეთო შტამპებსა და ტრაფარეტებს. თვითეულ გაზეთს ჰყავს მკითხველთა საკუთარი წრე, აქვს სპეციფიკური თავისებურებანი, და თვითეულ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეავანაძე საქართველოს ჟურნალისტთა და მუშსოფლკორთა რესპუბლიკური აქტივის კრების მონაწილეთა შორის.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეგობრული შეხვედრები

ბუდაპეშტი, 4 დეკემბერი. (საკდესი). 4 დეკემბერს დღისით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში ამხანაგებმა იანოშ კადარმა, კაროი კიშმა, დიერდ მაროშანმა და ფერენც მიუნიხმა მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მეშვიდე ყრილობაზე სკკპ დელეგაციის წევრები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ი. პ. კაზანეცი, ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის რაიკომის მდივანი ე. ს. ნაუმოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ტ. ფ. შტიკოვი და ნ. პ. ხრუშჩოვა.

ორი პარტიის წარმომადგენლებს შორის წარმოებდა აზრთა მეგობრული გაზიარება. გულითადი საუბრის მსვლელობაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დელეგაციის სახელით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა საჩუქარი — მხატვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის ფ. ი. გოლუბკოვის სურათი „ვ. ი. ლენინი სამუშაო კაბინეტში“.

ბუდაპეშტი, 5 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა უნგრელ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობისა და აქტივის მეგობრული შეხვედრა ნ. პ. ხრუშჩოვასთან.

ვიყოთ პარტიის ერთგული, აქტიური თანაშემწენი

(დასასრული).

ული მათგანი უნდა ითვალისწინებდეს ამას.

პრესის ამოცანაა ღრმად და ყოველმხრივ განმარტავდეს შვიდწლიანი გეგმის დიდებულ პროგრამას, ფართოდ აჩვენებდეს და ავრცელებდეს მისი შესრულებისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა მიღწევებს, განაზოგადებდეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის გამოცდილებას, სისტემატურად აშუქებდეს თავის ფურცლებზე მეცნიერებისა და კულტურის ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პარტიის ზრუნვას მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუხრელი გაუმჯობესებისათვის, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური მუშაობის საკითხების გაშუქებას.

ამბ. ჩხიკვიშვილი შეეხო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მუშაობასა და მის წინაშე მდგომ ამოცანებს. კავშირმა ცოტა მუშაობა როდი გასწია რესპუბლიკის ჟურნალისტთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის. მაგრამ ახალი ამოცანებისა და ახალი მოთხოვნების მიხედვით, ეს აშკარად არასაკმარისია.

— შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი. — ეს არის დიად მოვლენათა, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა დრო, რომლებიც მოპოვებულია ლენინის გმირი პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენი გული აღსავსეა კანონიერი სიამაყითა და სიხარულით, რადგან ვიცით, რომ კომუნიზმის იმ დიდებულ შენობაში, რომელიც ახლო მომავალში იელვარებს მსოფლიო ისტორიის ცის კამარაზე, საბჭოთა ჟურნალისტების მრავალათასიანი არმიის ხელით მიტანილი აგურიც იქნება!

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ ჟურნალ-გაზეთების მუშაობის გამოცდილებაზე, რომელიც შეძენილია სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ჟურნალისტთა ყრილობისადმი, აბხაზეთ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში მიღებაზე კრემლში ყრილობის მონაწილეთა პატივსაცემად — განსაზღვრულია კალმის მუშაკთა კონკრეტული ამოცანები თანამედროვე პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა ჟურნალისტების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, — ამბობს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ამხ. **ა. კოკილაშვილი**, — თვალსაჩინო მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის პრესის მუშაკთა ცხოვრებაში. გულის სიღრმემდე ჩაგვწვდა ჩვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება, აბხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომლებშიც ხაზგასმულია საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გაზრდილი როლი, გამოთქმულია პატივისცემა და მადლობა საბჭოთა ჟურნალისტების შრომისადმი. ეს მაღალი შეფასება ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენ, ჟურნალისტები დაუცხრომლად უნდა ვმუშაობდეთ ჩვენი შემოქმედებითი ოსტატობის ამაღლებისათვის.

— აფხაზეთის ასსრ ჟურნალისტები,— ამბობს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საოლქო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქტორი ამხ. **ნ. კიუტი**, — გამოდიან კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მგზნებარე პროპაგანდისტებად, სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მასების აქტიურ ორგანიზატორებად. ჩვენი გაზეთები სულ უფრო აფართოებენ კავშირს მასებთან, მხარს უჭერენ და ავრცელებენ ახალს, პროგრესულს, დროზე ეხმაურებიან მშრომელთა მასებში შობილ ყოველ პატრიოტულ თაოსნობას.

მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობას მიუძღვნა თავისი სიტყვა აგრეთვე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა ამხ. **რ. სირაძემ.**

ამხ. სირაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საკმაოდ ბრძოლა პრესის გამოსვლების ქმედითობისათვის. ეს ბასრი, საბრძოლო იარაღი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ნაკლოვანებებთან ბრძოლაში. ჩვენ გვერდი არ უნდა ავიაროთ მწვავე საკითხებს, ჩრდილოვან მხარეებს.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორმა ამხ. **გ. ეელაშვილმა** ილაპარაკა ახალგაზრდული გაზეთების მუშაობაზე მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ახალგაზრდობაში საბჭოთა ადამიანის მშვენიერი თვისებების, კომუნისტური ზნეობრიობის ჩაენერგვა საბჭოთა ჟურნალისტების ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა.

— საბჭოთა ჟურნალისტების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის მთელი მუშაობა, — აღნიშნა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიის“ რედაქტორმა ამხ. **მ. გოლოვასტიკოვმა**, — გამსჭვალული იყო ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით. ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება კალმის მუშაკთა წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ გარკვეულ მუშაობას ეწევა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა აღსაზრდელად ინტერნაციონალური მეგობრობის სულისკვეთებით.

ვინ არ იცნობს ჩვენს ქვეყანაში ვიშნევოლოჩკის მქსოველის, სოციალისტური შრომის გმირის ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას. მის მაგალითს მიბაძა ათასობით საბჭოთა ადამიანმა. ამ კეთილშობილურ თაოსნობას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა გორის ბამბეულის კომბინატის მრთველი ელენე გეგელაშვილი. მოწინავე მრთველმა და მისმა ამხანაგებმა გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით საქმიანი, მეგობრული კავშირი დაამყარეს სახელგანთქმულ რუს მქსოველთან.

კრების მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს **ელენე გეგელაშვილის** სიტყვა. მან ილაპარაკა საბჭოთა ჟურნალისტების, ყოველივე ახლის, პროგრესულის მგზნებარე პროპაგანდისტების კეთილშობილურ შრომაზე.

გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქციის განყოფილების გამგემ ამხ. **გ. ბაზაზიანმა** ილაპარაკა რედაქციის მუშაობაზე მკითხველებთან გაზეთის კავშირის განმტკიცების საქმეში.

— თითქმის ორი წელი გავიდა, რაც ჩამოყალიბდა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი,—განაცხადა ზესტაფონის რაიონული გაზეთის რედაქტორმა ამხ. **მ. ვარდოსანიძემ.** ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა ცოტა მუშაობა როდი გასწია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიებებში, რომლებსაც კავშირი და მისი სექციები ახორციელებენ, ამტ წილად მონაწილეობენ თბილისსა და დიდ ქალაქებში მომუშავე ჟურნალისტები.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების საქმიანობაზე ილაპარაკა განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქტორმა ამხ. **ა. ქუმარიტოვმა.**

იმ ჟურნალისტების მუშაობას, რომლებიც რადიოსა და ტელევიზიაში თანამშრომლობენ, მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ა. კელენჯერიძემ.**

რესპუბლიკის პრესის მუშაკებს მათი შემოქმედებითი კავშირის შემნა მხურვალედ მიულოცა წარჩინებულმა ტყიბულელმა მეშახტემ, ლენინის სახელობის შახტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. **შ. კუბლაშვილმა.**

— კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, — თქვა, მან, — ჟურნალისტის შრომას ადარებდა მეშახტის შრომას. ეს შედარება მოწმობს, რომ თქვენი საქმიანობა ისევე ძნელი და საპატიოა, როგორც ჩვენი — მეშახტეებისა. ჩვენ თქვენთან ერთად, სხვადასხვა პროფესიის ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ვემსახურებით ერთ დიად მიზანს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კეთილშობილურ მიზანს.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

საბჭოთა ჟურნალისტების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, თქვა მან, დიდი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყრილობამ ჩაიარა საბჭოთა პრესის პარტიულობისა და მასობრობის ლენინური ტრადიციების შემდგომი განვითარების ნიშნით, ცხადყო საბჭოთა ჟურნალისტების მხურვალე მისწრაფება პირნათლად შეასრულონ შობილური კომუნისტური პარტიის დავალებები, მთელი ძალღონე და ცოდნა მოაბმარონ კომუნიზმისათვის ბრძოლის დიად საქმეს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა ჟურნალისტებს უწოდა პარტიის ერთგული თანაშემწეები, ხელმკვეთები. მისი დიადი საქმისათვის აქტიური მებრძოლები. ეს დიდ პატივს სდებს ჩვენს ჟურნალისტებს, კალმის ოსტატებს, რომლებიც მოწოდებული არიან მაღლა ეჭიროთ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველსაძლო დროშა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში განსაზღვრულია საბჭოთა პრესის — ყველაზე ძლიერი და ყველაზე მებრძოლი პრესის, ჩვენი ჟურნალისტების შემოქმედებითი მოღვაწეობის პროგრამა. საბჭოთა ჟურნალისტისათვის არ არსებობს იმაზე უფრო კეთილშობილური საქმე, ვიდრე გმირული შრომის, ჩვენი ხალხის დიადი საქმეების, კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლის ჩვენება.

ამხ. მჟავანაძე დაწვრილებით ლაპარაკობს გაზეთების უახლოეს ამოცანებზე, აღნიშნავს, რომ აქედან მთავარია კომუნისტური მშენებლობის ძირითადი თეორიული პრობლემებისა და შვიდწლიანი გეგმის ამოცანების პოპულარიზაცია, მასებისათვის სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო ახსნა-განმარტება. პროპაგანდისტულ მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი უნდა გახდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში აბხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე მისი მოხსენების ახსნა-განმარტება.

ჟურნალისტები, ხაზგასმით აღნიშნა მან, მუდამ უნდა იყვნენ ხალხში, შვიდწლედის მოწინავე ზღუდეებზე, მათი მოვალეობაა შენიშნონ ყოველივე ახალი, მოწინავე, რასაც ყოველდღიურად წარმომშობს მასების დაუშრეტელი შემოქმედებითი ინიციატივა, მკაფიო, წარმტაცი და გასაგები ფორმით გაუწიონ პროპაგანდა კომუნიზმის ყლორტებს.

ცუდად როდი იმუშავა ჩვენი რესპუბლიკის პრესამ. იგი იყო წამომწყები ბევრი ძვირფასი თაოსნობისა, რომლებიც მიმართულია ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისაკენ, შვიდწლედის ძირითადი ამოცანების გადაჭრისაკენ.

ბევრი რამ გაკეთდა გაზეთმა „კომუნისტმა“ გაგანოველთა სასახელო მოძრაობის გავრცელების საქმეში. ყურადღების ღირსია გაზეთის ბრძოლა წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და ტექნიკური პროგრესისათვის. გაზეთის მთელი რიგი წამოწყებანი ამ დარგში მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

მებრძოლი ინიციატივიანი გაზეთია აგრეთვე „ზარია ვოსტოკა“. გაზეთის უეჭველი დამსახურებაა მისი მონაწილეობა შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნაში. ბევრი რამ გაკეთა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ მუშაოფლკორთა მოძრაობის ფართოდ განვითარებისათვის. სწორად მოიქცა იგი, როცა რედაქციასთან შექმნა მუშაოფლკორთა საბჭო. ამ საბჭოს ინიციატივით მოეწყო მუშკორთა მასობრივი რეიდი იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ინერგება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. რეიდში მონაწილეობდა დაახლოებით 1.000 მუშკორი, მათ შეამოწმეს 37 დიდი საწარმოს მუშაობა.

გარკვეული წარმატებებია საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაობაშიც.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, როდი ნიშნავს, რომ ჩვენი გაზეთების მუშაობაში არ არის არავითარი ხაკლი, გადაუჭრელი ამოცანები და პრობლემები. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა საბჭოთა ჟურნალისტების მიღებაზე კრემლში თქვა: „თქვენ, ჟურნალისტებმა, ძალიან კარგად იმუშავეთ. მაგრამ ხე გაყოყოჩდებით. ისე არ გამოვიდეს ქების შედეგდ, რომ ახლა თითქოს ცაში ღმერთს მისწვდით. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის უფერული ჩვენს გაზეთებში. ზოგჯერ აიღებ გაზეთს, გადაფურცლავ და გადადებ. შემდეგ ვერც კი გაიხსენებ, რა იყო ამ გაზეთში“. ეს შენიშვნები სავსებით ეხება ჩვენს ჟურნალისტებს, ჩვენს პრესას. წარმატებები არის, მაგრამ ნაკლიც ბევრია. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის, ინიციატივის მხრივ ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთებს საქმე რიგზე აქვთ, ხოლო კრიტიკასთან — საქმიან პრინციპულ კრიტიკასთან, ჩვენი გაზეთები არცთუ ძლიერ მეგობრობენ. ისინი ძალიან ცოტას აქვეყნებენ კრიტიკულ მასალას პარტიული ორგანიზაციების, დაწესებულებების, უწყებების, სამინისტროების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ. გაზეთი სრულფასოვანი ვერ იქნება, თუ მწვავე პარტიული კრიტიკის ქარცეცხლში არ გაატარებს ჩვენი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის ნაკლოვანებებს.

ჩვენი ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა ისეთი საინტერესო, როგორც დღეს, როცა თვალ ფრონტზე წარმოებს კომუნიზმის სიმაღლეების იერიში. ჩვენი ყოველდღიურობა წარმშობს ახალი მორალის გმირ ადამიანებს, რომლებიც გვიჩვენებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშებს. არ შეიძლება ამ ცხოვრებაზე, ამ ადამიანებზე უფერულად, მოსაწყენად წერა. გაზეთების ფურცლებზე უნდა ჩქეფდეს მკაფიო, მგზნებარე პუბლიცისტიკა, რომელიც უნდა იძლეოდეს ჩვენი დიადი ეპოქის მართალ, წარმტაც ქრონიკას.

საბჭოთა ადამიანი — კომუნიზმის მშენებელი — აი ვინ უნდა იყოს ჩვენი პრესის ყურადღების ცენტრში.

ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში მუშსოფლკორთა მოძრაობა რამდენადმე გაფართოვდა, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისია. ისინი, ვისი ხელითაც იქმნება მთელი ჩვენი მატერიალური სიმდიდრე, ეთვალის ფურცლებზე.

ეჭვი არ არის, ამბობს დასასრულ ამხ. მჟავანაძე, რომ ჩვენი რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები კიდევ უფრო მეტი ენერგიით დაეხმარებიან ჩვენს ხალხს, ჩვენ ჟურნალისტებს, ჩვენს პრესას. წარმატებები არის, მაგრამ ნაკლიც ბევრია. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის, ინიციატივის მხრივ ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთებს საქმე რიგზე აქვთ, ხოლო კრიტიკასთან — საქმიან პრინციპულ კრიტიკასთან, ჩვენი გაზეთები არცთუ ძლიერ მეგობრობენ. ისინი ძალიან ცოტას აქვეყნებენ კრიტიკულ მასალას პარტიული ორგანიზაციების, დაწესებულებების, უწყებების, სამინისტროების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ. გაზეთი სრულფასოვანი ვერ იქნება, თუ მწვავე პარტიული კრიტიკის ქარცეცხლში არ გაატარებს ჩვენი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის ნაკლოვანებებს.

ჩვენი ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა ისეთი საინტერესო, როგორც დღეს, როცა თვალ ფრონტზე წარმოებს კომუნიზმის სიმაღლეების იერიში. ჩვენი ყოველდღიურობა წარმშობს ახალი მორალის გმირ ადამიანებს, რომლებიც გვიჩვენებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშებს. არ შეიძლება ამ ცხოვრებაზე, ამ ადამიანებზე უფერულად, მოსაწყენად წერა. გაზეთების ფურცლებზე უნდა ჩქეფდეს მკაფიო, მგზნებარე პუბლიცისტიკა, რომელიც უნდა იძლეოდეს ჩვენი დიადი ეპოქის მართალ, წარმტაც ქრონიკას.

საბჭოთა ადამიანი — კომუნიზმის მშენებელი — აი ვინ უნდა იყოს ჩვენი პრესის ყურადღების ცენტრში.

ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში მუშსოფლკორთა მოძრაობა რამდენადმე გაფართოვდა, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისია. ისინი, ვისი ხელითაც იქმნება მთელი ჩვენი მატერიალური სიმდიდრე, უფრო ხშირად უნდა გამოდიოდნენ გაზეთების

ვამლოვანელი გერიკაცი

ნარკვევი

პარიზი ... ლად აფრინდა, აინავარდა, ელვაზე უსწრაფესად მწვანე ბუჩქებში მიმბაღული ნეკრისაკენ დაეშვა.

იქუხა თოფმა... მტაცებელი ჰაერში შეტორტმანდა, ფრთები მრისხანედ დაატყლაშუნა და ღრუბლებში გახვეული მოეტბასაკენ იბრუნა პირი.

მინაბული ბულბული ამღერდა. გაყუჩებულმა ქათმებმა კრიახი დაიწყეს. გნოლებმა და ქედნებმა კვლავინდებურად ღუღუნი მორთეს, პირმეცინარე ხარ-ირემმა სიამით დაიზმუილა, წაბლისფერი შვეული კი ათრთოლებული ლოკავდა თავის პირმშოს.

— გადარჩა, გადარჩა ჩვენი ნეკრი! — თითქოს ჩურჩულებდნენ ტყის წიაღში...

ვინ გადაარჩინა ნეკრი? სად არის მხსნელი?.. აი ისიც. ციცაბო ფერდობზე მშვიდად მოაბიჯებს, მოაბიჯებს ქმაყოფილების ღიმილით. ირემმა რქების რხევით გაურბინა, კვერნა ფეხებთან გაუქარა, დათმა ბუტბუტით ჩაუარა, ჯიხვების თოვნებმა კუნტრუში დაიწყეს, პატარა ნეკრიამ მის თვალდათვალ გაიზარდა.

— აი, შე ონავარო! ფრთხილად იყავი, თორემ არწივის ბრეკყალებს თუ გადაურჩი, მსუნაგი მგლის ხახას ვეღარ გადაურჩები, — ტყის მცველმა მიუალერსა.

კლდეებზე ჯიხვები ერთმანეთს რქებით დასჭიდებიან, დანარჩენნი დაფეთებული უმზერენ ორთაბრძოლას.

— ჰა-ჰაი, თქვე სძაგლებო! — დასჭყიოლა თოფიანმა კაცმა. ეხმამ კლდეები ააბუბარა. ხმა მისწვდა მოქიშპე ჯიხვებსაც.

ჯიხვები ფეხებს აბაკუნებენ, მიწას ჩიჩქნიან, თითქოს უბრაზდებიან — სადა ხარ, მარილი შემოგვლია.

გიგამ ჩანთა მოიხსნა. „ქოჩალგორის“ პატარა გამოქვაბულებში მარილის გოხები გაშალა, შემდეგ წიფლის ტოტებში მიმალა და მზერა დაუწყო. ჯიხვები მარილთან მიიიდნენ და ხარბად დაუწყეს ლოკვა. ირემებიც მიეშველნენ, შემდეგ ჯგ-ჯოგად გაიშალნენ „ნინინგორის“ ჩანჩქერისაკენ და გაფიცხებულნი მთის ანკარა წყალს დაეწაფნენ.

* * *

მოხუცი ტყის მცველი გიგა ბეგიაშვილი ფილაბნელზე აიკიდებს საზურგე ჩანთას, წელზე შემოირტყამს სავაზნეს, გადაიკიდებს ერთლულიან მეგობარს და მიჰყვება ვიწრო ბილიკებს, ღრუბლებისაკენ რომ მიემართებიან.

მოდის გიგა და მოღიღინებს. ხავსმოდებულ ქვებზე ფეხი უსხლტება, ამოვარდნილ ლოდს ხელით გასწორებს, ასე უხდება, ლამაზია, ბუნებამ ასე დაწესო. ახალგაზრდა ნეკრებს, რომლებიც ედიერ მგზავრს წაუქცევია, ფეხზე წამოაყენებს, გაამაგრებს, ძირს გაუფხვიერებს და დალოცავს, იხარე და გაიზარდეო. ისინიც იზრდებიან, თამამდებიან. ჩამოხლეჩილი ტოტი შეამჩნია, შუბლი შეიკრა, გულზე ხელი მიიბაგუნა და გაბრაზებულმა ჩაიღუღუნა:

— დამაცადე, შე ღორმუცელავ, ამ უკაცრიელ ადგილს შენს მეტი არავინ მოსტეხდა. მართლაც დათვი ხარ, დათვურად ეჭცევი სიმდიდრესო.

წაბლის ტოტს მოუახლოვდა, მოჭრილი წნელებით ტოტი ასწია და მაგრად მიაკრა.

შინდი წითლად ღვიოდა. გიგას გაახსენდა ქალიშვილის დანაბარები, — სამურაბე შინდი შეგხვდება მთაში, დაკრიფე, ნუ დაიზარებო. აბა როგორ არ შეუსრულოს გულის წადილი თავის საყვარელ გოგონას, მეტი ვინ დარჩენია. ცოლი კარგა ხანია დაეღუპა, ვაჟიშვილმა სამამულო ომს შესწირა თავი, თვითონ გიგაც ვაჟკაცურად ომობდა ფაშისტების წინააღმდეგ. მოხერხებული და გულადი მებრძოლი, მაშინ ომოოცდაათი წლისა იყო, მტერთან შეუპოვარი ბრძოლის წრთობა ჯერ კიდევ პირველ იმპერიალისტურ ომში მიიღო. ცხრამეტი წლის ჭაბუკი ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა, კარპატების მთებში დასჭრეს მუხლში და ხელში, როცა განიკურნა, თურქეთის ფრონტზე გაგზავნეს, აქ კი ბოლშევიკებს შეუერთდა და სხვებთან ერთად მშვიდობა და ზავი მოითხოვა...

მალე ოფიცერ ოქტომბრის ცეცხლმაც... ადვილად იტყვის ენა, სადაც არის გიგას სამოცდაათი წელი შეუსრულდება. შეხედავთ მის პატარა, დაღარულ სახეს, ცეცხლითა და სიცოცხლით სავსე თვალებს, და მისი ცხოვრების მეტად საინტერესო ისტორია თვალწინ დაგიდგებათ...

ვენერასაც უყვარს მამა, რომელ შვილს არ უყვარს მამა, მაგრამ მის გულში უფრო მეტად ანთია მამაშვილური სიყვარული. მის მოღოდინში ბევრჯერ დასთენებია ღამეები. მოხუცია, კლდეზე ფეხი არ აუცურდეს, ნადირმა არ დასაზიანოსო...

...და აი მწიფე შინდს მიუახლოდგა. გიგამ კალთა მოიმარჯვა. უეცრად ტოტები შეირხა, რაღაცამ დაიღუღუნა. მოხუცი უნებლიეთ შეკრთა, თოფზე იტაცა ხელი, მაგრამ მალე გადაფიქრა, თვითონ მოკვლა აკრძალულიაო, მეცნიერები ამბობენ, გადაშენების გზაზეა დამდგარი და უფრთხილდითო. გიგამაც მშვიდობა ამჯობინა. უშველებელი მურა დათვი ბაჯბაჯით გატრიალდა, გიგას თვალწინ პატარა ბელები შეთამაშებენი გორაობდნენ. მოსულმა სიამით გააყოლა თვალი, შინდს მიუტრიალდა. საოცარი ის იყო, რომ ახლა უფრო დიდი დათვი გამოვიდა.

— ფუ, დაგლახვროს ეშმაკმა! — ჩაილაპარაკა გიგამ და ადგილზე გაშეშდა. დათვმა პირის ტაკუნები ბეგრი გაკრა და მოკუნტრუშე ბელებს დაედევნა.

— ხიფათი ყოველთვის მოსალოდნელია, დაბნეულობამ კი შეიძლება უბედურება შემყაროს, — თავისთვის ბუტბუტებდა გიგა და შინდით სავსე კალთა მკლავზე გადაიკიდა.

ბარტყების ციურტული გაისმა. გიგამ დაინახა — შინდის ტოტზე შაშვის ბუდისაკენ ვეებერთელა გველი მსრიალებდა, თავი მაღლა აეწია და შემაძრწუნებლად სისინებდა. ჩიტენები შეშფოთებულნი იყვნენ. გიგამ თოფი მოიმარჯვა, პატარებს არ შეგაჭმევო. გაიფიქრა და თოფმაც დაიქუხა. გველი დაიკლაკნა, ტოტებს მოსწყდა და ძირს დაეცა.

მოხუცი ტყის მცველი — ასე ეძახიან, თორემ გიგა ტყის მცველი კი არა, ბუნების მცველია, — თავქვე დაეშვა. დღეს კმაყოფილი ბრუნდებოდა, ბარტყები გველის ხახას გადაარჩინა, შვლის ნეკრი კი არწივის ბრეკყალებისაგან იხსნა. ასეთი ამბები ბევრი ახსოვს გიგას. ერთხელ ორი ირემი ერთმანეთს რქებით დასჭიდებოდნენ, გაფთრებული თალავნებიანთ უტევდნენ ერთმანეთს. სწორედ მაშინ მიეშველა მოხუცი მეველე და დააშოშმინა ისინი. ამას წინათ ლაგოდეხის ნაკრძალის მუშაკების მიერ გარეული ფრინველებისათვის დათესილ ფეტვის ყანაში მამალი ხოხბების ძიძგილს შეესწრო, შეუტია და გააშელა.

— რა გაჩხუბებთ, რა გაკვთ გასაყოფი!

ცად აწვდილ ხეებს ზევით თაკარა ბზე კაშკაშებს. ქვევით კი ბნელა და ვრცელი სიო უბერავს. აქა-იქ პატარა ბუჩრუტანებიდან ღამის ციცინათელებივით კიაფობენ მზის სხივები. „ქოჩალოს“ მთებში წყლაანდნილი აქფებულა, ქვებზე და ტინებში გულხეთქებით მიდგაფუნობს.

გიგა კვლავ აღმა, ღრუბლებისაკენ მიმავალ ბილიკებს მიჰყვება. ზურგზე ბარამდე სავსე სველი ჩანთა ჰკიდია, მიდის და მიიჩქარის, გიგა ახლა მძიმე ჩანთასთან ერთად სამოცდარვა წელსაც ეწევა. ხანდისხან ჩაიმუხლებს. ნაბრალობევ მუხლზე ხელს გადაისვამს, მთის ანკარა მდინარეს დაეწაფება. გაფიცხებულ ტუჩებს გაიგრილებს, შემდეგ ჩანთას შეისწორებს და კვლავ ზევით ბილიკებს გაჰყვება. ახლა გიგას ეჩქარება. ნინინგორის ქვაბულებთან ჯიხვები ელოდებიან. მარილი მიაქვს. ელოდებიან აგრეთვე ირმები და შვლები, ფსიტები. ელოდებიან გარეული ღორები.

ნაკრძალის მუშაკები აღრე მთებში ბალახს თიბავდნენ, ფიქრობდნენ, ირღვევა ... ლოდ ... ...

კვლავ მშოგლიურ მიწაწყალზე

მოსკოვი

საზღვარგარეთ საერთაშორისო მატჩებში მონაწილე საბჭოთა გუნდებს შორის თბილისის „დინამო“ ფეხბურთელთა ის კოლექტივია, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ტურნე უცხოეთში და აქტიური ბალანსი აქვს.

ფრანგები აღფრთოვანებული იყვნენ თბილისელთა თამაშით და ქებადიდებას ასხამდნენ მათს ბრძოლისუნარიანობას. ამიტომ იყო, რომ პარიზის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გულთბილად გამოაცილეს დინამოელები სამშობლოში.

5 დეკემბერს თბილისელები მოსკოვში იყვნენ. ვნუკოვოს აეროდრომზე ქართველ ფეხბურთელებს შეხვდნენ დედაქალაქის სპორტის მოყვარულები, ფიზკულტურის მუშაკები, ფეხბურთელები. მათ შორის იყვნენ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ა. გრანატკინი, მოსკოვის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი, საკავშირო სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თანამშრომლები, გაზეთების ფოტორეპორტიორები და კორესპონდენტები, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

აქ გაიმართა საუბარი საზღვარგარეთის ტურნეზე, გადახდილ ბრძოლებზე, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და საფრანგეთში გატარებულ დღეებზე.

შეხვედრა დინამოელებთან

6 დეკემბერს საქართველოს სპორტული დელეგაცია თბილისში გამოემგზავრა.

თბილისი

ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო თბილისში. სხვანაირად არც შეიძლებოდა — დინამოელთა გამარჯვებები საფრანგეთში — ეს ხომ საბჭოთა სპორტისა და ჩვენი გამარჯვება იყო. საბჭოთა ადამიანებმა იციან გამარჯვების დაფასება, თავის შვილთა შეხვედრა, შეხვედრა მშობლიური.

თბილისის აეროდრომზე ბევრჯერ შეეხვედრივართ გამარჯვებულებს, ბევრჯერ მიგვილოცნია მათთვის მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ასპარეზობებში მოპოვებული წარმატებანი, მაგრამ ასეთი შეხვედრა არ გვინახავს. ირგვლივ უჩვეულო გამოცოცხლება იყო. აქ მოსულიყვნენ სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლები, ფეხბურთის ვეტერანები, ფიზკულტურული მუშაკები, ქალაქის მშრომელები, სტუდენტები, მოსწავლეები.

15 საათია. შორიდან მოისმის გუგული. ჰაერში გამოჩნდა მზის სხივებზე მოკიაფე, ვერცხლისფერი საჰაერო ხომალდი „ტუ-104“. მალე იგი აეროდრომზე დაეშვა. ბევრი თბილისელი თვითმფრინავისაკენ გაეშურა, საქართველოს სპორტული დელეგაციის, ფეხბურთელების გამოჩენას ისინი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ, თაიგულები უძღვნეს.

ფეხბურთელებს მიესალმა და წარმატებები უსურვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. შავგულიძემ. გულთბილი შეხვედრისათვის დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა გ. სიხარულიძემ და თბილისის „დინამოს“ გუნდის კაპიტანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ღოღობერიძემ.

გულთბილი, ამაღლებული შეხვედრა დიდხანს გრძელდებოდა. დაიძრა ასობით მსუბუქი ავტომანქანა, გამარჯვებულებს თბილისელთა ერთსულოვანი ტაში მიაცილებდა.

• • •

სურათზე: შეხვედრა დინამოელებთან თბილისის აეროდრომზე.

ჩვენი ტურნე საზღვარგარეთ

საუბარი თბილისის „დინამოს“ გუნდის კაპიტანთან ა. ღოღობერიძესთან

დაძაბული ჩემპიონატის შემდეგ, ტურნე საზღვარგარეთ და კვლავ შეუპოვარ ბრძოლებში ჩაბმა, გუნდისათვის უთუოდ დიდი დატვირთვა იყო. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ყველა მატჩი ჩვენ თანაბარი სიძლიერით ვერ ჩავატარეთ.

პრესის ფურცლებიდან კარგად არის ცნობილი შეხვედრათა შედეგები, მატჩების მსვლელობა, ის ყურადღება, რომელსაც ჩვენდამი იჩენდნენ ბელგიაში, ლუქსემბურგში, საფრანგეთში. ამ ქვეყნებში ჩვენ ბევრი უბრალო ადამიანი გავიცანით, ბევრი მეგობარი შეეძინეთ, გავეცანით ისტორიულ ძეგლებს, ღირსშესანიშნაობებს.

ამ ტურნეს ზოლად გასდევს არა მარტო სპორტსმენთა ურთიერთობა, დაახლოება, არამედ ის დიდი და კეთილშობილური საქმე რომელსაც მეგობრობა და ურთიერთგაგება ეწოდება.

მოკლედ მინდა შეეჩერდე საფრანგეთში მოგზაურობაზე, იქ გამართული შეხვედრების დეტალებზე, ფრანგების სტუმართმოყვარეობასა და მოუსვენარ კორესპონდენტებზე. დავიწყოთ ამ უკანასკნელებიდან. ეს ადამიანები ყოველთვის ცხოვრების კურსში არიან, არაფერი გამორჩებათ, ზოგჯერ უცნაურობასაც კი შემოგთავაზებენ.

ლუქსემბურგიდან ავტობუსით ჩავედით თუ არა პარიზში, გარს შემოგვეხვივნენ კორესპონდენტები. გაისმოდა ფოტოაპარატების ჩხაკუნი, გვთხოვდნენ ინტერვიუს, გვეკითხებოდნენ, რას ვფიქრობდით საფრანგეთის საკლუბო გუნდებთან შეხვედრებზე. რამდენიმე ფოტორეპორტიორი დაეინებით გვთხოვდა გვეთქვა — რამდენი ფეხბურთელი იყო გუნდში ულვაშიანი და გადაგვეღო სურათი. რა გაეწყობოდა, დავთანხმდით. ულვაშიანები გამწკრივდნენ წინა რიგში. ულვაშმოპარსულები კი — მეორე რიგში. მათ შორის იყვნენ მესხი, კოტრიკაძე, ჩოხელი და სხვ.

თითქოს ამით დამთავრდა ყველაფერი, დასასვენებლად წავედით, მაგრამ ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაზეთებში ჩვენთან ერთად ვიხილეთ ულვაშებაპრეხილი კესარეი. რედაქციაში მისთვის ულვაშები მიეხატათ!... იცინოდა კესარევი, ვიცინოდით ჩვენც. მართლაც სასაცილო შემთხვევა იყო.

„რესინგთან“ მატჩი დამთავრდა, მანქანაში ჩავსხეს, ბანკეტზე მიგვიწვიეს. მართლაც რომ კარგი მასპინძლობა სცოდნიათ ფრანგებს. აქ შეისეა საბჭოთა კავშირის, ქართველი ხალხის სადღეგრძელოები. ფრანგმა ფეხბურთელებმა მოიგონეს თბილისი, ფუნიკულორი, აქ გატარებული დღეები, ქართული სტუმართმოყვარეობა. ისინი ამბობდნენ, იქ, თქვენშია, თითქმის ყველაფერს სხვა გემო აქვს, სუფრასაც სხვა ლაზათი და სილამაზე, ხოლო ქართველი ხალხის გულღიობა, სტუმართმოყვარეობა, სითბო, აქამდე მოგვყვა, ჩვენს ხსოვნაში წარუშლელი იქნება.

ორიოდე სიტყვით საფრანგეთის გუნდებზე, მაყურებლებზე. საფრანგეთში განსაკუთრებით უყვართ ფეხბურთი. სპორტის ეს სახეობა აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფრანგები ამაყობენ თავიანთ საკლუბო გუნდებით — „რეიმსით“, „ნიმით“, „რესინგით“. ამ კლუბების ფეხბურთელებით კომპლექტდება ეროვნული ნაკრები, კოპა, ფონტენი, ჟონკე, პიანტონი, ვენსანი და სხვები გამოირჩევიან თამაშის შესანიშნავი ტექნიკით, ძალიანი ოსტატობით, ვირტუოზობით.

საერთოდ საფრანგეთის გუნდების თამაშში იგრძნობა სიმსუბუქე. მათი მთავარი სპრძოლო იარაღი ტექნიკა. აქ არ უყვართ ძალისმიერი თამაში. ჩვენ მთელი მონდომებით შეეცადეთ პარიზელებისათვის, რეიმსელებისთვის გვეჩვენებინა ლამაზი, ტექნიკური, კორექტული თამაში. მართალი გითხრათ მაყურებლები აღფრთოვანებული იყვნენ თბილისელთა შეწყობილი, კოლექტიური ბრძოლით. ჩვენ მათი სიმპათია, ერთსულოვანი ტაში დავიმსახურეთ.

„ნიმთან“ მატჩი ცენტრალური შეხვედრა იყო. იგი ამ ქვეყნის პირველობის გათამაშების ლიდერია, ამჟამთანავე დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენებით. როგორც ცნობილია, ეს თამაში დინამოელებმა მოიგეს. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ „ნიმის“ ფეხბურთელები, გადაგვეხვივნენ, მოგვილოცეს გამარჯვება და დასძინეს, თქვენგან ბევრი რამ ვისწავლეთ — სიახლენი, კოლექტიურობა, მეგობრობა, ყოველივე ეს კი გამარჯვებათა საწინდარიაო.

სეზონი ამოიწურა, მცირე შესვენების შემდეგ, იანვრის პირველი რიცხვებიდან კვლავ შევუდგებით ახალი სეზონისათვის მზადებას. დინამოელთა მთავარი საზრუნავია შევქმნათ სრულფასოვანი რეზერვი, აქედანვე ვიზრუნოთ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

„კომუნისტის“ დღევანდელ ნომერს თან ერთვის დამატება — ლატარიის მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ყოველი მხრიდან

⊙ **ყასემი გამოჯანმრთელდა.** ⊙ **ჩინეთის სასამართლოს გადაწყვეტილება.** ⊙ **იაპონიის ცეცხლთან თამაში.** ⊙ **ატომური ბომბდამშენები — დასავლეთ გერმანიის ცაზე.** ⊙ **ტერორი გერმანელი კომუნისტების წინააღმდეგ.**

გაღდადი, (საკდესი). ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდელ ქერიმ ყასემი საავადმყოფოდან გამოვიდა, სადაც იგი იმყოფებოდა სამკურნალოდ მას შემდეგ, რაც 7 ოქტომბერს თავდასხმის შედეგად იგი დაჭრეს.

როგორც აქ გამოაცხადეს, მთელ ერაყში გაიმართება სადღესასწაულო მსელელობა და ზეიმი ყასემის გამოჯანმრთელების გამო.

პეკინი, 4 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საააგენტო იუწყება, რომ დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ბრძანებულების შესაბამისად უმაღლესმა სახალხო სასამართლომ ამინისტიით გაათავისუფლა სამხედრო დანაშავეთა პირველი ჯგუფი 33 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ჩანკაიშეთა ხროვის, „მანჯოუგოს“ მარიონეტული სახელმწიფოს და „მიდა მონღოლეთის მარიონეტული მთავრობის“ სამხედრო დანაშავეები.

ამნისტირებულთა შორის არის ჰუ ი, „მანჯოუგოს“ მარიონეტული სახელმწიფოს ყოფილი მეთაური.

ტოკიო, 4 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ტოკიოში გამოაცხადეს, რომ შეიქმნა იაპონიაში პირველი მართული ყუმბარების რაზმი, „რომლის ფუნქციაში შედის კადრების მომზადება იაპონიის არმიის მომავალი რაკეტული ნაწილებისთვის. რაზმი შექმნილია საზენიტო არტილერიის სასწავლებელთან ქალაქ ტიბაში. წინასწარი მომზადების შემდეგ რაზმის პირადი შემადგენლობა გაიგზავნება შეერთებულ შტატებში შემდგომი წვრთნის გასაგრძელებლად.

იაპონიის თავდაცვის ძალების სარდლობას, იაპონიის პრესის ცნობებით, განზრახვა აქვს 1965 წლისათვის შექმნას იაპონიაში 12 რაკეტული დივიზიონი, აღჭურვილი მართული ყუმბარებით. დასახულია აგრეთვე მართული ყუმბარებით აღჭურვილი სპეციალური ნაღმოსნის მშენებლობა.

ბონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ატომური ბომბდამშენების საში ესკადრილია უახლოეს დღეებში გადატანილ იქნება საფრანგეთიდან დასავლეთ გერმანიაში ამერიკის სამხედრო აეროდრომებზე რამშტეინსა და ჰანში (ბფალცი).

ამერიკის ატომური ბომბდამშენების ეს გადატანა ხორციელდება იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის მთავრობა არ დათანხმდა, რომ განლაგებინათ ატომური იარაღი საფრანგეთის ტერიტორიაზე საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ კონტროლის გაუწევლად.

ბერლინი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვრცელდება სასამართლო ტერორი გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრებისა და სხვა პროგრესულად განწყობილი ადამიანების წინააღმდეგ. როგორც ადნის საააგენტო იუწყება, დიუსელდორფის საადგილმამყოფო სასამართლომ ელა ვახოლდერს მიუსაჯა 10 თვის პატიმრობა და ფრანცისკ ბარსკეს 7 თვის პატიმრობა, ორივე ქალს ბრალდებად წაუყენეს გერმანიის კომუნისტური პარტიის არალეგალური ჯგუფის შექმნა და კომუნისტური ლიტერატურის გავრცელება.

დორტმუნდის სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ხუთ წევრს იმისათვის, რომ ისინი მხარს უჭერდნენ გერმანიის კომუნისტურ პარტიას მის აკრძალვამდე. მსჯავრდადებულთა შორის არიან მუშები რობერტ ვაინანდი, ესენიდან, ავგუსტ ვაინეი ზოლინგელიდან, პაულ ობერმაიერი ჰილდენიდან, ლუდვიგ ბეკერი დიუსელდორფიდან და ლეოპოლდ მიუნიხი კელნიდან.

ბოროჯი მისია

რისთვის გაემგზავრა ინგლისის თავდაცვის მინისტრი ბონში

ლონდონი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღწერილია ინგლისის თავდაცვის მინისტრის ჰაროლდ უოტკინსონის გამგზავრების ნამდვილ მიზეზებს. ვიზიტის ოფიციალური მიზეზია, — აღნიშნავს გაზეთი, — იმ პრობლემების განხილვა, „რომლებიც ორივე მხრივ აინტერესებს“. მაგრამ დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრს შტრაუსს აქვს სავსებით გარკვეული იდეები და სავსებით კონკრეტული მიზანი უოტკინსონთან შეხვედრისას. საქმე ის არის, რომ დასავლეთ გერმანიაში ამ ბოლო დროს აშკარად მოითხოვდნენ მაღალი თანამდებობის მთელი რიგი ინგლისელი ოფიცრების გადაყენებას ნატოს სარდლობიდან და მათ შეცვლას გერმანელი ოფიცრებით.

ამჟამად გერმანელები მოითხოვენ, კერძოდ, რომ ადენაუერის არმიის გენერალურმა ინსპექტორმა გენერალმა ჰოზინგერმა შეცვალოს გენერალი დადლი უორდი ნატოს ჩრდილოეთის საარმიო ჯგუფის სარდლის პოსტზე ან გენერალი რიჩარდ გეელი ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის პოსტზე.

„დეილი უორკერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადენაუერისა და მისი თავდაცვის მინისტრის ეს განზრახვა არის ნაწილი განზრახვისა მიაღწიონ მეტ გავლენას ნატოში და უფრო აქტიურ მონაწილეობას ნატოს სამხედრო ოპერაციების მომზადებასა და შემდეგ განხორციელებაშიც.

„შტრაუსს, — წერს გაზეთი, — მიაჩნია, რომ რაკი ინგლისის მთავრობამ ხელი შეუწყო დასავლეთ გერმანიის გადაქცევას ნატოს ყველაზე ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ, უნდა დაეთანხმოს იმას, რომ დასავლეთი გერმანია ასრულებდეს ხელმძღვანელ როლს დასავლეთ ევროპაში.

დასავლეთ გერმანიაში ინგლისის თავდაცვის მინისტრის გამგზავრების მიზანი, წერს გაზეთი, არის ის, რომ მოამზადოს ინგლისის შემდგომი დათმობები ადენაუერის არმიის ყოფილი ჰიტლერული გენერლების სასარგებლოდ. „ამის სანაცვლოდ უოტკინსონს იმედი აქვს მიიღოს დასავლეთ გერმანიისაგან დიდი შეკვეთა ახალი რაკეტისა, რომელიც შეიძლება აღჭურვილი იყოს ატომგულის საფალიანთ და რომელიც სწორედ აკლია გერმანელ გენერლებს თავიანთი აგრესიული არმიის ძლიერების გასადიდებლად.“

ჭადრაკის დაფასთან

ქალთა ჩემპიონატი

ლიპეცკი, 6 დეკემბერი. (სპეც. კორ.). მეათე ტურით დაიწყო ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეორე ნახევარი.

ამ დღეს ყურადღების ცენტრში იდგა ოსტატ ნ. გაფრინდაშვილისა და სსრ კავშირის ჩემპიონის ლ. ვოლპერტის პარტია. ეს შეხვედრა მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლით. ნ. გაფრინდაშვილმა დებიუტში მიიღო გარკვეული უპირატესობა, მაგრამ ლ. ვოლპერტმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და მე-16 სვლაზე მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა. რომელიც თბილელმა მიჭადრაკემ არ მიიღო. ბრძოლის შემდგომი ეტაპი აღინიშნა ორმხრივი მუქარებით. პარტია გადაიდო.

ამ დღეს კ. ს. კეგინმა დაამარცხა ო. რუბცოვა, ნ. კოლოტომ — ა. რუბინჩიკი. ო. სემიონოვა-ს. კუშნირისა და ზ. ნახიმოსკაია-ლ. იაკირის პარტიებში მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლიპეცკი. 7 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა ქალთა საჭადრაკო პირველობის მე-11 ტური.

ტ. ზატულოვსკაიამ დაამარცხა ა. რუბინჩიკი, ლ. ბელოვენეცმა — ლ. იაკირი, კ. სკეგინამ — ა. ვიტკოვსკაია; ნ. ვოიცეკ-ე. კაკაბაძე, ლ. ვოლპერტ-ზ. ნახიმოსკაია და ს. როზოტარე-ნ. გაფრინდაშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

8 დეკემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

ერევნის ნახევარფინალი

ერევანი. 5 დეკემბერი. (სპეც. კორ.). გათამაშდა საკავშირო ჩემპიონატის ერევნის ნახევარფინალის მორიგი მე-13 ტური.

შეჯიბრებაში მონაწილეთა შორის გროსმაისტერი ე. გელერი ერთადერთი მოუდოლაკეა, რომელსაც ჯერ პარტია არ წაუგია. მე-13 ტურში მან მორიგი გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა ე. ჩუკაევი. ბ. გოლდენოვმა მოუგო ე. მნაცაკანიანს, მ. შიშოვმა — ე. თათევოსიანს, ი. ავერბახმა — ვ. ზახარიანს, ი. კლოვანმა — ა. ბუსლაევს, ვ. ბაგიროვმა — ს. ჰალილბეიელის. ა. ყარაჯაევ-ა. გელერი ყაიმზე შეთანხმდნენ. ბ. გურგენიძე-ი. ნიკოლაევსკის პარტია გადადებულია დაახლოებით თანაბარ პოზიციაში.

ერევანი. 6 დეკემბერი. (სპეც. კორ.). უკანასკნელის წინა მე-14 ტური ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით.

ყველაზე ადრე დამთავრდა ბ. გურგენიძე-ი. ავერბახის პარტია. ეს შეხვედრა ხასიათდებოდა მშვიდი ბრძოლით. მე-20 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩემპიონების ე. მნაცაკანიანისა და ი. ბაგიროვის პარტია დამთავრდა ე. მნაცაკანიანის გამარჯვებით. ი. ნიკოლაევსკიმ მოუგო ი. კლოვანს, ვ. ზახარიანმა — ე. თათევოსიანს, ე. ჩუკაევმა — ვ. შიშოვს. ე. გელერ-ა. ყარაჯაევი და ა. ბუსლაევ-ს. ჰალილბეელი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ერევანი. 7 დეკემბერი (სპეც. კორ.). დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ბ. გურგენიძე-ი. ნიკოლაევსკი ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ბ. გოლდენოვ-ა. გელერის პარტია.

საერთაშორისო ტურნირი

რიგა, 4 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „ბალტიის ზღვა მეგიდოთის ზღვაა“. ტურნირში მონაწილეობს 14 უცხოელი და საბჭოთა მოჭადრაკე. მათ შორის — პრეტენდენტთა ტურნირის გამარჯვებული იუგოსლავიაში მ. ტალი, ლენინგრადელი გროსმაისტერები ბ. სპასკი და ა. ტოლუში, ცნობილი ფინელი მოჭადრაკე ი. ხიიმელა, ახალგაზრდა ნორვეგიელი ოსტატი ს. იოჰანესენი, რომელიც ჩრდილოეთის ქვეყნების ტურნირის გამარჯვებულია, საერთაშორისო ოსტატი რ. ტემნერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველობის მრავალგზის პრიზიორები ოსტატები ვ. პიჩი და ი. ფრანკი, საერთაშორისო ოსტატი ბ. სლივა და ჰოლონეთის მიმდინარე წლის ჩემპიონი ს. ვიტკოვსკი.

მსოფლიო პირველობაზე

4 დეკემბერს მოსკოვში სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა საჭადრაკო მატჩის პირველი პარტია მსოფლიო ჩემპიონს ელიზავეტა ბიკოვას (მოსკოვი) და საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტს კირა ზვორიკინას (მინსკი) შორის.

მინსკელმა მოჭადრაკემ, რომელიც თეთრებით თამაშობდა, პარტია დაიწყო მეფის პაიკის სვლით. ბიკოვა დებიუტში გამჭრიახად იცავდა თავს, მაგრამ მაინც მოხვდა ძნელ მდგომარეობაში. კრიზისულ მომენტში ზვორიკინამ დაიწყო სწრაფი შეტევა შავების მეფის პოზიციაზე და მწვავე ბრძოლის შემდეგ მოიგო პაიკი. პარტიის საბოლოო ნაწილი ორივე მეტოქემ დროის ნაკლებობის გამო ელვისებური სისწრაფით ითამაშა.

ბიკოვამ ვერ მოასწრო რეგლამენტით გათვალისწინებული 40 სვლის გაკეთება და მას ჩაეთვალა დამარცხება. ამრიგად, ქ. ზვორიკინას მიჰყავს მსოფლიო პირველობის შეჯიბრება შედეგით 1 : 0.

(საკდესი).

ქართველ მოჭიდავეთა გამარჯვება უნგრეთში

ამას წინათ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა უნგრეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ორი საერთაშორისო შეხვედრა გამართა. თბილისში ყოფნისას უნგრელმა სპორტსმენებმა საქართველოს მოჭიდავეები ბუდაპეშტში მიიწვიეს.

6 დეკემბერს საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი **ი. ბოჭორიძე** ბუდაპეშტიდან ტელეფონით დაგვიკავშირდა. მან გვაცნობა: უნგრელ და ქართველ მოჭიდავეთა მატჩი ფართოდ იყო რეკლამირებული, ხოლო ბილეთები რამდენიმე დღით ადრე გაეყიდათ. დღეს პირველი შეხვედრა გვქონდა. დარბაზი, რომელიც 3.000-მდე მაყურებელს იტევს, სავსე იყო სპორტის მოყვარულებით.

შეჯიბრების დაწყებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი, სპორტსმენთა პარადი, მისალმებები, სამახსოვრო ვიმპელებისა და სამკერდე ნიშნების გაცვლა. შესრულებულ იქნა საქართველოს სსრ და უნგრეთის სახელმწიფო ჰიმნები.

ხალიჩაზე გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები ცალქალამანიე და მოდოში. ქართველმა მოჭიდავემ თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და 3 წუთსა და 40 წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა. დაძაბული იყო არსენიანისა და კუნეტის ორთაბრძოლა. თვალსაჩინო უპირატესობით გაიმარჯვა არსენიანმა.

მომდევნო ორ წყვილში პოფმანმა მცირე უპირატესობით მოუგო რუბაშვილს, ხოლო გვიმრაძისა და ტოტის შეხვედრაში აღინიშნულ იქნა - ფრე. ქვესაშუალო და საშუალო წონებში სალარაძემ და გობეჯიშვილმა ქულებით დაამარცხეს ციბრატა და ჰოლოში. გვიმრაძემ გურიჩთან შეხვედრა ფრედ დამთავრა. მძიმე წონაში კანდელაკმა 4 წუთსა და 10 წამში ორივე ბეჭზე დასცა ვიიგი.

ამრიგად, საქართველოსა და უნგრეთის ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში დამთავრდა საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 6 : 2.

• • •

გუშინ მოსკოლეში გაიმართა საქართველოსა და უნგრეთის მოჭიდავეთა მეორე მატჩი. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ვ. კუხიანიძემ** გვაცნობა: საქართველოს მოჭიდავეებმა ეს შეხვედრაც მაღალ დონეზე ჩაატარეს და მოიგეს მატჩი ანგარიშით 7 : 1.

გამარჯვება მოიპოვეს **ზ. შეყრილაძემ, ვ. არსენიანმა, ა. გვიმრაძემ, გ. სალარაძემ, გ. გობეჯიშვილმა, ო. კანდელაკმა.** მოწინააღმდეგეებთან შეხვედრა ფრედ დამთავრეს **ვ. რუბაშვილმა** და **ბ. ლომიძემ.**

ჩვენმა სპორტსმენებმა უნგრელ მაყურებლებს უჩვენეს ქართული ჭიდაობა. ერთმანეთს შეხვდნენ მ. ცალქალამანიძე - ზ. მეყრილაძე და ბ. ლომიძე - გ. გობეჯიშვილი.

უნგრეთიდან სამშობლოში, 10 დეკემბერს გამოვემგზავრებით.

სურათზე: საქართველოს სპორტული დელეგაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 72-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1959 წლის 30 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში.

მოგება ხვდა სესხის ცამეტიდე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000903	11*)	5.000	030599	19*)	5.000	064138	1—50	1.000
001004	41*)	5.000	030794	32*)	10.000	064215	1—50	1.000
001138	1—50	400	031223	37*)	5.000	064587	1—50	400
001325	1—50	400	032022	10*)	5.000	065078	1—50	400
001527	03*)	10.000	032549	32*)	5.000	065127	1—50	1.000
002297	42*)	5.000	032805	1—50	400	065200	03*)	25.000
003898	36*)	5.000	034534	35*)	5.000	066443	20*)	5.000
004284	1—50	1.000	034825	1—50	400	067257	30*)	5.000
004472	23*)	5.000	034949	1—50	1.000	067282	06*)	5.000
004941	20*)	5.000	035048	43*)	5.000	068471	1—50	400
004991	1—50	400	035286	05*)	5.000	068691	1—50	1.000
005110	03*)	5.000	035575	1—50	400	068702	1—50	400
005685	15*)	5.000	036335	24*)	10.000	069707	1—50	400
006506	1—50	1.000	037533	26*)	5.000	071862	20*)	5.000
007270	23*)	10.000	037915	1—50	400	071893	03*)	5.000
007736	19*)	5.000	037960	1—50	400	071963	1—50	400
009025	1—50	400	038302	19*)	5.000	072943	03*)	5.000
009041	27*)	10.000	039243	03*)	5.000	074449	1—50	400
009671	38*)	5.000	039473	44*)	5.000	075718	15*)	5.000
009842	25*)	10.000	039525	24*)	5.000	077212	1—50	400
009925	29*)	5.000	039629	34*)	10.000	077635	1—50	400
010797	29*)	5.000	040228	49*)	5.000	078361	1—50	400
011014	28*)	5.000	040244	29*)	5.000	078588	38*)	25.000
011836	1—50	400	040423	20*)	5.000	079001	25*)	10.000
013528	11*)	10.000	041443	1—50	400	079310	49*)	5.000
013731	42*)	10.000	041993	07*)	5.000	081285	48*)	5.000
014121	1—50	400	043202	30*)	5.000	081431	04*)	5.000
014157	1—50	400	043658	19*)	5.000	081838	38*)	5.000
014667	09*)	5.000	043691	37*)	10.000	082148	1—50	1.000
015144	45*)	5.000	044255	08*)	5.000	082686	1—50	400
015172	1—50	400	044517	15*)	50.000	082891	1—50	1.000
015190	14*)	5.000	045634	03*)	5.000	083903	43*)	5.000
015735	17*)	5.000	045911	1—50	400	083923	1—50	400
016132	1—50	400	047049	10*)	5.000	084376	01*)	5.000
016208	1—50	400	047721	48*)	10.000	084561	15*)	10.000
016830	24*)	5.000	048752	17*)	10.000	084853	05*)	10.000
018337	1—50	400	049705	05*)	25.000	086799	24*)	5.000
018749	1—50	400	050377	17*)	5.000	087101	36*)	5.000
019998	42*)	10.000	052462	47*)	5.000	087429	41*)	25.000
021605	1—50	1.000	053095	1—50	400	088126	05*)	10.000
022403	1—50	400	055367	01*)	5.000	088492	25*)	5.000
023212	41*)	5.000	055553	50*)	10.000	089098	1—50	1.000
023334	01*)	5.000	055688	1—50	400	089537	35*)	5.000
023786	24*)	5.000	056324	05*)	5.000	090336	1—50	1.000
024837	11*)	5.000	056503	05*)	5.000	090878	1—50	400
025455	24*)	5.000	057402	13*)	5.000	091645	26*)	10.000
025941	18*)	10.000	058359	42*)	5.000	092318	11*)	5.000
027187	40*)	5.000	058425	29*)	5.000	092409	13*)	5.000
027247	1—50	400	058447	24*)	5.000	092493	10*)	5.000
027810	1—50	400	058895	46*)	5.000	094098	1—50	400
028806	1—50	400	059249	1—50	400	094328	1—50	400
029347	35*)	25.000	061779	38*)	5.000	094435	1—50	1.000
029494	23*)	5.000	061957	40*)	10.000	094715	37*)	10.000
029562	37*)	10.000	063315	08*)	5.000	095893	22*)	10.000
029588	40*)	5.000	063675	1—50	400	096817	46*)	10.000
030513	1—50	1.000	063921	37*)	50.000	099192	1—50	400
			064072	1—50	400	099589	48*)	5.000